კვირა, 5 ივლისი. ფასი 10 კაპ.



# მათრახი და სალამური

№ 4

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

1 ივლისიდან წლის დამლევამდე ჟურნალი „**მათრახი და სალამური**“ ღირს **2** მ. და **50** კ. ვინც ფულს აქ თავიდან სრულად შემოიტანს, გაეგზავნება გამოსული ნომრებიც. ფული და წერილები ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

Тифлисъ, типографія «Шрома» Василію Карамановичу Болквадзе.



## † ვლადიმერ ბეჟ. ლორთქიფანიძე.

ოთხშაბათს 1 ივლისს მიწას მიაბარეს ქართველი ნიჭიერი მწერალი ვლადიმერ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. განსვენებული დაიბადა 1872 წელს. ქუთაისის გიმნაზიის გათავების შემდეგ ის შევიდა ადესის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ის გაემგზავრა გერმანიაში, რომ სპეციალურათ შეესწავლა ისტორია. მაგრამ ულმობელმა სენმა ის იძულებული ჰყო სამშობლოში დაბრუნებულიყო. აქ ის მთელი თავისი ახალგაზდურ გატაცებით შეუდგა საზოგადო მოღვაწეობას. ის ჩადგა იმ ჯგუფში, რომელიც შემოკრბა ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და შემდეგ „საქართველოს“ გარშემო. განსვენებული ვლადიმერი დაუღალავათ შრომობდა როგორც სამწერლო ასპარეზზე, ისე პრაქტიკულათაც, რისთვისაც ორჯერ იქნა დაპატიმრებული, მაგრამ 17 ოქტომბრის მანიფესტით გაანთავისუფლეს. ის იყო ერთი საუკეთესო მუშათაგანი და კიდევაც მისი უდროოთ დაკარგვა ყველა ქართველისთვის, ვისაც ხალხის კეთილდღეობისთვის გული შესტკივა, საგრძნობელი დასაკლისია. განსვენებულის დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო. წირვის გადახდის შემდეგ, ასე დაახლოვებით 12 საათზე მიცვალებულის ცხედარი ქვაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენეს მისმა ახლობელმა მეგობარ-ამხანაგებმა. პროცესია გეორგიევის ქუჩიდან, სადაც ქაშვეთის ეკლესიაა, გაუდგა გოლოვინის, ბარიათინის, ნეკრასოვის, მიხეილის, რეუტოვის და ანტონიევის ქუჩით წმ. ნინოს სასაფლაოსაკენ. გზა და გზა პროცესიას ხალხი ემატებოდა. მოჰქონდათ აგრეთვე გვირგვინებიც. მთელი მანძილი კუკიის სასაფლაომდე ცხედარი ხელით გაატარეს, სადაც პროცესია 1 საათზე მივიდა. ნათესავ-ამხანაგების უკანასკნელათ გამოთხოვების შემდეგ ცხედარი მიწას მიაბარეს. სიტყვები წარმოსთქვეს: სილოვან ხუნდაძემ (ქუთაისიდან) და თფილისის ქართული გიმნაზიის ინსპექტორმა ალექსანდრე მდივანმა. გვირგვინები იყო 16—: თფილისის ქართული გიმნაზიისაგან, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან, ქუთათურ თანამოაზრე წრისაგან, თფილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეთაგან, გაზ. „დროების“ ასოთ-ამწყობებისაგან, ღვინის დამყენებელ კახეთის მევენახეთა ამხანაგობისაგან, გიორგი, კიტა და ვანოსაგან, „ნაკადულის“, „დროების“, „ჩვენი აზრის“ რედაქციებისაგან, საქართველოს და ბაქოელ ს. ფ—საგან და ს. დ. სოლ. კომ—საგან, წულუკიძე და ძმ. დიასამიძეთაგან და სხვ.

შენს უანგარო მოღვაწეობას არ დაივიწყებს შენი მადლიერი ერი და შენი ხსოვნა სამარადისოთ დარჩება შენს მეგობრებში.

# იუბილეს მოლოდინში.

(სახუმარო ამბავი)

გაზეთი „ქუხილის“ რედაქტორი ჩქარიძე ალარავის უმალავდა თავისს უზომო სიხარულსა და სიამოვნებას.

— ვის მოსწრია აბა თქვას ჩვენი გაზეთი ორმოც და რვა ნომერზე ასულიყოს? ჩაასხაპასხუპა ჩვეულებისამებრ ჩქარიძემ და რომ უფრო გაერკვია მიზეზი ამ „მოუსწრებელი“ ამბისა, კმაყოფილების კილოთი დაუმატა:

— აი, ეს იცის ბიჭმა!!

გურგენ ჩხიკვაძე, მთავარი თანამშრომელი გაზეთისა, რომელიც ამ ჟამად იქვე იჯდა, მაგრამ ფიქრებით „კერეჯის ხიდთან“ იმყოფებოდა, უცებ გამოერკვა.

— მაგისთვის კი გვმართებს სწორეთ ერთი იუბილეს გადახდა!

— მართლაც რომ ვალდებული ვართ, გადავიხადოთ. ხუმრობა საქმეა 48 ნომერი! ორი დღეცა და სწორეთ შაბათ საღამოს 50 დღის იუბილე მზათ იქნება, დასძინა თავის მხრით „ქუხილის“ მეორე თანამშრომელმა თეოფილე ბუაძემ.

— სირცხვილიც იქნებოდა ჩვენ ასეთი საყურადღებო მომენტი არაფრით აგვენიშნა; სრულის ჩემის არსებით ვეთანხმები პატივცემული გურგენის აზრს შესახებ იუბილეს გადახდისა და ვირჩევ მას თამადათ. მომილოცავს, ძმაო გურგენ, შენთვის თამადობა!! დაიგუგუნა რედაქციის მდივანმა როსტომ გუდაძემ.

— საქმე გადაწყვეტა კი არ არის, მეგობრებო, საქმე სისრულეში მოყვანაა, ჩაერია ლაპარაკში მუდამ დავთარში მოკირკიტე ნიკიფორე ჭექაძე.

— ხოლო რაიცა შეეხება ფინანსთა სამინისტროს, ის უეჭველია უარს იტყვის ყოველ ამგვარ დაწყებულების წინაალმდეგ, დაუმატა მან და მედიდურათ დაეშვა თავის „სავარძელზე“.

— კარგი და პატიოსანი, ბ-ნო ფინანსთა მინისტრო, მაგრამ ეს ხომ ერთად-ერთი შემთხვევა იქნება ჩვენს ხანგრძლივ არსებობის ისტორიაში, დასძინა კორექტორმა სურდოძემ.

— საკვირველია, ამხანაგებო, ფინანსთა მინისტრის, ბ-ნი ნიკიფორეს ასეთი პასუხი. იმან ამბობს, თითქო ასეთი ყოველ დღე იუბილე გვქონდეს, დალაგებით ჩაილაპარაკა რედაქციის სტილისტმა ხარიტონ კრუხაძემ.

— ბატონებო, ანუ ამხანაგებო! დაიწყო რეპორტიორმა გუმბრაძემ: რამდენათაც ირკვევა დღევანდელს ჩვენს საგანგებო კრებაზე, იუბილეს საქმეს წინ ისეთი დაბრკოლება ეღობება, როგორიც არის ჩვენი პატივცემული ფინანსთა მინისტრი ნიკიფორე. მაგრამ ჩემის მხრით არ მაკმაყოფილებს მისი ასეთი განცხადება და შემაქვს შემდეგი შეკითხვა ფინანსთა მინისტრის სახელობაზე:

„ბ-ნებო! მოეხსენება თუ არა პატივცემულ ფინანსთა მინისტრ ნიკიფორეს, რომ მრავალ-წამებული ჩვენი რედაქცია აგერ ოთხიოდ წელიწადია ქოჩათ-მავლობს*), ანუ უკეთ რომ ვსთქვათ „ქუჩათ-მავლობს“, ე. ი. გადადის ერთი ქუჩიდან მეორეზე, ერთი უბნიდან მეორეში და არ მოსწრია მაგალითი, გამოეშვას მას მეორმოცდა ათე ნომერი ერთი სახელისა. მოეხსენება თუ არა მათ აღმატებულებას ფინანსთა მინისტრ ნიკიფორეს, რომ ჩვენი წარსული სავსეა სახელოვან გმირთა სახელებით, რომელთაგან დიდი უმეტესობა სულ ჭაბუკი, 25 დღისა მოგვიკლეს და არც ერთს არ ღირსებია სიკვდილი ბუნებრივი“...

— უკაცრავათ, ფაქტიური შენიშვნა. ამხანაგებო, **„არ მომკვდარან, მხოლოთ სძინავთ“**, ე. ი. უმეტესობა „ქუხილის“ წინაპართა მიძინებულია დროებით, სამხედრო წესების მოხსნამდე და ჩვენს რეპორტიორს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ მეოცე საუკუნეში უეთუოდ მოხსნიან ასეთ წესებს. ამგვარათ

„და კვალად მომავალ არს აღდგომა მკვდრეთით და ცხოვრებისა მერმისა მის საუკუნესასა ამინ“.

ჩაიბულბულა ფელეტონისტმა ჭინკაძემ.

— ბატონებო! თუ ნებას მომცემთ, დავასრულებ ჩემს შეკითხვას! განაგრძო გუმბრაძემ.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, იყო საერთო პასუხი.

— მაშ ეგრე, მოეხსენება თუ არა ბ-ნ ფინანსთა მინისტრს, რომ ასეთი ბედნიერი შემთხვევა, ჩვენთა წინაპართა მრავალ-წამებული სულის მოსახსენებლათ, ახლო მომავალში შეიძლება აღარ დაგვიდგეს. ამასთანავე რით ასაბუთებს ბატონი ფინანსთა მინისტრი ასეთ მსჯავრს შესახებ იუბილესა. გთხოვთ ბატონებო შეკითხვა „საჩქაროთ“ აღიაროთ და დაავალოთ მინისტრს დაუყონებლივ პასუხის მიცემა.

რვა ხმის უმეტესობით, წინაალმდეგ ექსპედიტორი ყვავაძისა, შეკითხვა საჩქაროთ იქნა ცნობილი.

---

*) ქოჩათ-მავალი, პატივცემული ვახტანგ ღამბაშიძის ენაზე ნიშნავს „качевой“-ს.

რედ.

ხაზინადარი ნიკიფორე პატარა დავთარით ხელში, წამოდგა თავისი მწვანე სტოლიდან და დაიწყო:

— ამხანაგებო! მემარცხნე თანამშრომლებმა ჩვენზე ეჭვი შემოიტანეს, თითქო წინააღმდეგი ვიყოთ ისეთი კულტურული დაწყებულობისა, როგორიც არის იუბილე ჩვენი მხცოვანი გაზეთის „ქუხილისა“. არა და არა ბატონებო! ფინანსთა სამინისტრო მუდამ იმის ცდაშია, მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ყოველგვარ კულტურულ საქმეს, მაგრამ დღეს-დღეობით ჩვენს სასიამოვნო სურვილს წინ ეღობება სისუსტე ჩვენი ხაზინისა. უკანასკნელი ანგარიშების დროს გამოირკვა, რომ დეფიციტის დასაფარავათ საჭიროა საშინაო სესხის აღება არა უმცირეს 60 მანეთისა. რედაქციის კასსაში არსებული სამი მანეთი და ნახევარი დღესვე მიდის, თანახმათ თქვენი გუშინდელი დადგენილებისა, ახალი ნებართვის მარკის შესაძენათ. მე გავათავე.

ფინანსთა მინისტრის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელთა უმეტესობაზე. მემარჯვენე თანამშრომლები ერთიანად მიემხრენ მინისტრის განმარტებას, ცენტრი ყოყმანობდა, ხოლო მემარცხნენი სრულის უნდობლობით შეხვდენ მის განმარტებას.

— ბატონებო! ჩვენთვის პირველი არ არის ფინანსთა მინისტრისაგან ასეთი პასუხის მოსმენა. დაიწყო ჩხიკვაძემ, ამიტომაც ვერ მოგვხიბლავს ის თავისი ტკბილი ენით. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მიუხედავათ საგარეო ვალებისა, კასაში მოიპოება იმდენი თანხა, რომ დიდებული შემთხვევა ვიდღესასწაულოთ, თუ დიდებულათ არა, ღარიბულათ მაინც...

— მე თეოფილე ბუაძე, სრულიად ვეთანხმები მინისტრის განმარტებას და წინადადება შემომაქვს, საიუბილეო დღესასწაული გადაიდოს მესამოცე, ან მესამოცდაათე დღის-თავისათვის. ბატონებო, ერთბაშათ არაფერი არ შეიძლება, საქმეს თანდათანობა სჭირია. დავავალოთ მინისტრს, რომ მოემზადოს იმ დროისათვის.

— მე, როგორც რედაქტორი და ერთი იმ პირთაგანი, რომელსაც მძიმე შრომა მიუძღვის იუბილიარის წინაშე, საჭიროთ ვსცნობ ეს საკითხი კომისიას გადაეცეს განსახილველათ.. წარმოსთქვა ჩქარიძემ და ისევ პროვინციიდან მიღებულ გრძელთა უგრძეს წერილს დაუწყო უმოწყალო სწორება.

— მეგობრებო, როსტომ გუდაძეს არაფერი არა აქვს კომისიის საწინააღმდეგო, მაგრამ დასძენს ის, რომ დაევალოს კომისიას დღესვე ან უკიდურეს შემთხვევაში ხვალვე გაარკვიოს საკითხი. ამას იმ მოსაზრებით ამბობს თქვენი მონა-მორჩილი როსტომ გუდაძე, რომ გუშინს აქეთია ცხვირის წვერი ექავება და ხალხის გამოცდილებით ეს მოვლენა ვიღაცას მოლოდინს ნიშნავს.

— ძმებო და ამხანაგებო! სრული თანახმა ვარ საქმის დაჩქარებისა, ვინაიდან პატივცემული გუდაძის ცხვირის ქავილი მრავალ-გზის გამოცდილი მაქვს. საეჭვო აქ მხოლოდ ისაა: ჭქავა ცხვირი მართლა, თუ განძრახ იგონებს ამას ბ-ნი გუდაძე... წარმოსთქვა რეპორტიორმა გუმბრაძემ.

— ბატონებო! ნე მარკოზ ქინკაძეს შემომაქვს წინადადება: ქავილის გამოსარკვევათ გადაეცეს გუდაძის ცხვირი კომისიას, რომელ...

— უეცრათ კარები გაიღო. ოფლიანი „სტოროჟი“ რედაქციისა ქარივით შემოიჭრა და ენის ბორძიკით განაცხადა:

— აბა, გვგაიხიზნეთ... მოვიდა პოლიცია... გადით.

ყველას ცივი წყალი გადაევლო. რედაქტორმა დაჭკეცა სატახტო ქალაქის გაზეთები, ქუდი დაიხურა და გავიდა. იმას გაჭყვა გუდაძე, ცოტა ხნის შემდეგ აიბარგა ხარიტონ კრუხაძე, იმას კორექტორი სურდოძე აედევნა და სულ ხუთიოდ წუთის შემდეგ წელანდელ მოკამათეთაგან მხოლოდ ფინანსთა მინისტრი და გურგენ ჩხიკვაძე დარჩა.

მალე მოურიდებლათ გაიღო კარები და ოთახში ბოქაული შემოვიდა ოთხი გოროდოვოის თანხლებით. ჯერ უსიტყვოთ მიიარ-მოიარა, აათვალჩაათვალიერა ყველა კუნჭული, ხოლო შემდეგ, აუჩქარებლათ და სულდათქმულათ გამოუცხადა მასპინძლებს მთავრობის გადაწყვეტილება, მავნე მიმართულებისათვის „ქუხილის“ რედაქციის დახურვის შესახებ.

მხლებლებმა ამოალაგეს ყველა ხელთნაწერები სტოლის უჯრებიდან, ერთად შეხვიეს. ოთახის კარებს წითელი ბეჭედი დაასვეს და თავის გზას გაუდგენ.

ჩხიკვაძე და ქუხილაძე, მოკლე ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს და ერთად მომავალნი ტკბილათ საუბრობდენ.

— კიდევ კარგათ გათავდა ბ-ნო ფინანსთა მინისტრო ჩვენი იუბილე, თორემ წინეთ უფრო დიდ-ხანს იცოდენ უჩასტკაში მინისტრების გაჩერება.

— დღეის ამას იქით, ბ-ნო გურგენ, მთელს ჩვენ კრებულს მართებს, დიდის პატივით მოეპყრას გუდაძის ძვირფას ცხვირს და მეტის ნდობით მოეკიდოს მის ქავილს.

— მე წინადადებას შევიტან, გაუქმებულ იუბილეს ნაცვლად გუდაძის ცხვირის მოღვაწეობა აღინიშნოს.

— მშვენიერი აზრია! დაუდასტურა ყოფილმა მინისტრმა.

დანარჩენნი წევრნი რედაქციისანი გულის ფანცქალით მოელოდენ უსიამოვნო სტუმრობის შედეგს.

ეშმაკი.

„გამოიღვიძე, დედიკო“
ემუდარება პატარა
და თან ძუძუს თხოვს ტირილით,
ცრემლები სცვივა ანკარა!
მაგრამ ვის ესმის უმანკო
ღუღუნი პაწა მტრედისა?
კარგა ხანია გაცივდა
მგრძნობელი გული დედისა!

ვ. რუხაძე.



სცენა აგარაკებში.

## გამოიღვიძე დედიკო!

ღამეა, ღამე საზარი,
ფრთა გაუშლია წყვდიადსა,
მაღლა ცა არ ჩანს, ძირს მიწა,
ვერ ვჭვრეტ ბუნებას დიადსა!
არ ფეთქავს ძარღვი სიცოცხლის,
ძილს მისცემია ქვეყანა,
არსით ხმა, არსით ძახილი,
დუმილი მეფობს ყველგანა!
ღარიბულ ქოხში ლოგინზე
ძევს ცივი გვამი დედისა,
თან აღბეჭდია სახეზე
მდურვა უკუღმართ ბედისა.

## ტარიგი რედაქციისა.

(სილოვანის „ალსარება“ № 3)

ოხ, რა საშინელ დროში ვცხოვრობთ მკითხველო, რომ იცოდე! პირდაპირ ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი. აი ავიღოთ მაგალითად, პრესის მდგომარეობა. წინეთ ძლევა მოსილი ცენზორი იყო მისი სულთა-მხუთავი. მის წითელ მელანს ძნელათ თუ გაეპარებოდა გაზეთის ფურცლებზე რაიმე „კრამოლნიკური“. წერა არ შეიძლებოდა არც მთავრობაზე, არც პოლიციაზე, არც სასამართლოზე, არც სასწავლებლებზე, არც შიმშილზე, არც მუშათა საკითხზე და ვინ იცის კიდევ რაზე. ერთი სიტყვით, საჭირბოროტო კითხვას ვერ შეეხებოდი და თუ შეეხებოდი ბოქაულის თავით უნდა გაზრა და გრინგმუტის

კალმით უნდა გეწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის დახურვა და ციხე აუცილებელი იყო... შეიცვალა პირობები, მაგრამ რა? ვითომ სახეიროთ შეიცვალა? ამაზე სილოვანის „აღსარება“ მოგცემთ პასუხს. სილოვანი არ იხსენიებს გაზეთებზე დადებულ აუტანელ ჯარიმებს, არ იხსენიებს თუ რა თვითნებობით მოქმედობს დღეს უკანასკნელი გოროდოვოიც კი გაზეთის დახურვის საქმეში და სხვ... მაგრამ რასაც ის იხსენიებს, განა ისიც საკმარისათ არ ახასიათებს თანამედროვე მწერალთა მდგომარეობას? აბა ყური დაუგდეთ, რა ეგვიპტური ტანჯვა განუცდია ჩვენს სილოვანს თავისი ლექსების დასტამბვის გამო; ტანჯვა არა ყრიათაგან, არა ცენზორთაგან და არა

მთარგმნელიც მასხარათ აგვიგდეს, ათასნაირი დამცინავი სიტყვით შეგვამკეს, ჩემი პოეტური ნიჭი და კალამი მიწასთან გაასწორეს“.

არამზადები!!!

მაგრამ რა, იმათაც იგემეს სილოვანის „საფუძვლიანი გაკიცხვა“. ეს იყო სილოვანის „პირველი სალიტერატურო დებიუტი“ და მას შემდეგ ყველა რედაქციებში თავმოყრილი პირნი მის ნაწერებს აღმაცერათ უყურებენ. გაბოროტებული სილოვანი გაზეთში აღარ ათავსებს ლექსებს და ცალკე კრებულათ სცემს. აქაც არ აყენებენ მას „ივერიელნი“ და „ამგვარი კინტოური რეცენზიით“ ეგებებიან: მივიღეთ სილოვანის ლექსები—და



სცენა აგარაკებში.

ადმინისტრატორთაგან, არამედ—ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთაგან. აი რას მოგვითხრობს სილოვანი თავის აღსარებაში: „იმ ხანებში, როდესაც მე, ახლათ კურსშესრულებული, უნივერსიტეტიდან დაბრუნდი... ქუთაისში გიტარის დამკვრელები გახშირდენ და ხედ სხვა და სხვა რუსულ რომანსს ამღერებდენ... პ. მირიანაშვილმა მომანდო, რომ ეს რომანსები ქართულათ გადამეთარგმნა. მეც დავჯექი და ერთი მათგანი, სახელდობ „Мѣсяцъ плыветъ по ночнымъ небесамъ“. ქართულათ გადმოვსთარგმნე და ალე გიტარაზე ამ რომანსის დამღერება რუსულის მაგიერ ქართულათ დაიწყეს... „ივერიაში“ თავმოყრილმა ერთი ჯურის ხალხმა დაკრა ბუკი და ნაღარა და თარგმნის ინიციატორიცა და

ისე მოგვეწონა, რომ „პირველ გვერდიდან პირველ გვერდამდი“ გადავიკითხეთო... როცა ჩემი პოემა „გემის დაღუპვა“ დავბეჭდე, „ივერიის“ მეფელეტონე კრიტიკანმა ორანმა სასაცილოთ აიგდო და თავისებური კინტოური კილოთი შეამკო“... ოჰ, საშინელებავ!!.

„რასაც გაზეთებში მიბეჭდავდენ ხოლმე, თავისებურათ ასწორებდენ, უკეთ ვსთქვათ, ამახინჯებდენ როგორც შინაარსს, ისე ენასაც“. განა ამაზე შორს წავა ცენზორების წითელი მელანი?! ამით ხომ თქვენ „თავი მოაბეზრეთ სილოვანს და ხელი აალებინეთ რედაქციებზე? ის თქვენი უსამართლო ქცევით ხომ განახლებულ რედაქციებსაც დაუკარგეთ? ეს უკანასკნელნი ძალიანაც ცდი-

ლან „გაბუტული სილოვანის თანამშრომლობას“, მაგრამ უნაყოფოდ! სილოვანი იმათ ვეღარ შეუცდენიათ.

სილოვანის შეცდენა მოუხერხებია მხოლოდ დემურის ქრივს. სილოვანს მისი თხოვნით „ნაკადულისათვის“ ლექსი გაუგზავნია ამ სათაურით: „ქართველ მოწაფეებს“. მაგრამ დახეთ უბედურებას! დემურის ქალსაც მოკლეთ უპასუხნია: „თქვენი ლექსი რედაქციამ ყმაწვილებისათვის შესაფერად ვერ იცნო, თქვენი სულის ჭირიმეთ არ გეწყინოთო“! კიდევ დატუქება! კიდევ დამცირება! კიდევ გასთრახება ოცი წლის სიტყვიერების სწავლაში გაწვრთნილ მოღვაწეს“. მოდი და მოითმინეთ!

მაგრამ ამასაც არ დასჯერდენ. სილოვანს კიდევ მეტი განსაცდელი მიაყენეს. მერე ვინ? „ისრის“ რედაქციამ. ჰმ! რას არ მოესწრება ადამიანი! თორემ ამას რავა წარმოვიდგენდი, რომ სილოვანს—ლიტერატორს, „ოცი წლის“ გამოცდილ მასწავლებელს, საუცხოვო მთარგმნელს რომანსებისას, ორიგინალური ლექსების მთხზველს, ვიდაც ზ. უ. უკეთებს „ისრის“ რედაქციაში რეკომენდაციას, მაგრამ რედაქცია არც ამის შემდეგ უბეჭდავს სილოვანს ლექსებს!

საკვირველ არიან საქმენი შენნი უფალო!!.

„ისარი“, ეროვნული გაზეთი, სილოვანს წერილს არ უბეჭდავს და თან ი. ნაკაშიძის პირით ამას უთვლის: **„სუსტად იცნეს შენი ნაწერი და იმიტომ არ დაუბეჭდიათო“!** (კურს. ჩემია. ქუთ.).

ოხ, რა საშინელი უტიფრობაა! რა საშინელი შეურაცხყოფა! მერე ვისგან? „ისრის“ რედაქციისაგან. მერე ვისი? სილოვანის! დაუჯერებელია, რომ სინამდვილე არ იყოს და თვითონ სილოვანი არ ამტკიცებდეს თავისი „ალსარების“ მე-13-ტე გვერდზე.

ასე უდიერად მოეპყრა სილოვანს თურმე „მოამბეც“, რომელმაც ლექსი „ქობულელი“ არ დაუსტამბა, რაზედაც სილოვანმა **„მკვახე წერილი“**-თ გასცა რედაქციას საკადრისი პასუხი.

არა ნაკლები შეურაცხყოფა მიაყენა სილოვანს ი. გოგებაშვილმაც, როდესაც მისი (სილ.) ლექსი „მოგონება“ ბუნების კარში მოათავსა და ქვეშ ჭალადიდელის სახელი მოაწერა. ჰოი მრავალ წამებულო, სილოვან! საკვირველ არს მოთმინება შენი!! მოთმინების ფიალა კი არა, მოთმინების ბოჭკა უნდა ქონდეს ადამიანს, რომ ამდენი დამცირება და აბუჩად აგდება აიტანოს!..

მოთმინებიდან კი ოსული სილოვანი საბოლოოთ ფიცს სდებს, რედაქციებს სამუდამო „ბოიკოტს“ უცხადებს, თავისთვის შრომობს, თავისი ოფლით ნაშოვარი ფულით ლექსებს და შენიშვნებს ცალ-ცალკე წიგნაკებათ სცემს, ეს თავის გულის წყრომას, ბრაზს თვითონვე იკლავს გულში, თუმცა ხანდიხან ეს დაგუბებული სიბრაზე მოწაფეთადმი **მამაშვილური ხასიათის მასაჟის სახით** გადმოხეთქს ხოლმე, როგორც ცნობილია, მარა ეს მხოლოთ ერთი წუთის საქმეა...

მოსალოდნელი იყო, გამარჯვებული რედაქციები იმდენ ვაჟკაცობას გამოიჩენდენ, რომ დამარცხებულ სილოვანს ახლა მაინც მოასვენებდენ, მაგრამ სად გაგონილა ჩვენი რედაქციებისაგან ასეთი ლავდაჭერილობა.

„დროების“ რედაქციის საქციელი განა სხვა მხრივ შეიძლება აიხსნას. წარმოიდგინეთ კაცი ამდენი ვაი-ვაგლახის გამოვლილი „ბრწყინვალე აღდგომის“ დილას გაზეთში „მილოცვას“ კითხულობს, რომლითაც მას ეუბნებიან: რას მიქარავ, რას ჯღაბნი? ტყუილათ დროს რატომ კარგავ? შენი ნაწერები დაბეჭდვის ღირსიც არ არის—და ამიტომაც არ დაგიბეჭვდენო!!.

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! რა უსამართლობაა! რა უსაზღვრო, გულსაკლავი დაცინვაა!

ამის შემდეგ შენ თვითონ სთქვი მკითხველო, განა ასე ცოცხლათ ადამიანის დასამარებას და მისი „ნიჭის“ წესის აგებას შესძლებდა ძველი ცენზურა?

რაც გსურს, ისა სთქვი, მკითხველო! მე კი სწორეთ „ალსარების“ შემდეგ გავიგე, თუ რათ ილანძღება სილოვანი მაგარი და „მკვახე“ სიტყვებით და რატომ შეუთვალა „ივერიის“ ძველ რედაქციას ის კლასიკური სიტყვები, რომელიც ზე გამოჭრილათ ითქმის „ახალ“ „ივერიაზედაც“.

ქუთათური ეშმაკი.

---

## მათხოვრები.

—

ეზოდან-ეზოში, კარისგან-კარად
დადიან, დადიან ისინი...
ცუდი გზა, ავდარი არ უჩანთ არად,
არც ზამთრისა ქარის სისხი!..
ის ერთი ბრმა არის: ვეღარას ხედავს,
მისი მწე მოძმის-და ხელია,
უმისოთ ბიჯისა წადგმას ვერ ჰბედავს:
იმის წინ უფსკრული ბნელია!..
ის დაჰყავს მეორეს: კარისგან-კარად,
ეზოდან ეზოში ჩადიან,
სოფლიდან-ქალაქად, უველგან ამ გვარად
დადიან ისინი, დადიან...
—„მოხედეთ, მოგხედავთ ღმერთი ძლიერი,
უსინათლოსა, საცოდავს ბრმას!
ის დადის ყბინო, მწყურვალ-მშიერი,
მოხედეთ, კეთილნო, დაჩაგრულს ძმას!“.
ძუნწია ქვეყანა, კმაყოფილ-სრული,
და მხოლოთ იშვიათს ათასში
მოუვა, რომ მცირე გროშისა ფული
ჩაუშვას მათხოვრისა თასში!..
სოფლიდან-ქალაქად, კარისგან-კარად
დადიან, დადიან ისინი!
ცუდი გზა, ავდარი არ უჩანთ არად,
არც ზამთრისა ქარის სისინი!...

ნ. ზომლეთელი.



## მესტვირული.

—

სტვირი ახალი გავთალე,
გუდა ძველი მაქვს, თხისაო,
ვაცი გავხადე, ცხოველი
მჭამელი ბალახისაო,
(რომ ტიტე ვატყავ-ვაწვალო
ის უბადრუკი, ისაო
ტყავსა რას ვაქნევ იმისას
ტვინი რო არად ღირსაო.)
მოვმართე ჩემი ქამანჩა,
აწ აღარ დავდებ ძირსაო,*)
და თანა მომათრახენო
მესტვირე ბლიკვაძისაო,
სალამს მოგიძღვნი შორიდან
დავუკრავ ამ ჩემ სტვირსაო.
გისურვებ ყველას აგშორდეს:
ტრაბახი მეგობარიო,
ჭკუა გონებით მდაბალი
და თავის მაქებარიო;
ძუნწი, ავყია, კრიჟანგი
გროშების მაძებარიო,
ურცხვი და აუტანელი,
ყველასთან უებარიო,
ფულისთვის ეხერხებოდეს
სიგლახე ყოველგვარიო
და საჭმელს ერიდებოდეს
სიმშილით ცოცხალ მკვდარიო.
ღმერთმა გაშოროს მოყვარე
ბრიყვი და გადარეული
შვილი უწვრთნელი, ტუტუცი
საბაწრეთ გამზადებული
ოჯახში დაბუდებული
ცოლი კაპასი—ეული,
გაწუწკებული მოვახშე
აწ-და-მარადის წყეული,
მადა გახსნილი სტუმარი
და საქმე გამოლეული;
გაჭირვებაში ნაცნობი
ლაჩარი, უკუქცეული
და მეზობელი ქურდულათ
სამტეროთ შემოსეული.
ღმერთმა გაშოროს მედრამე
ხუცესი ეშმაკეული,
სტუდენტი გამოქუცული
და გამოიმასქნეული,
ტვინგალეშილი მოხელე
გამოქნილ გამოთრეული,
ვაჭარი გამოქექილი,
პარვაში გამოჩვეული,
ქრთამის მოყვარე მსაჯული,
ჭამაზე გულმომხეული,
რაზმი დამსჯელი მუგუზლით
სახლ-კარზე შემოხვეული.
ნუ მოგცეს ზურგზე წყლულები
კავკავის მათრახეული,
თოფის კონდახით ნაგვემი
დალურჯებული სხეული
და ცხვირზე მუშტის ნაცემი
სისხლის კამარა ნთხეული.
ღმერთმა გაშოროს „ხორისტი“
შტერი და გზა დაბნეული,
(თოთხმეტ იანვარს ბათუმში
ზანტუკზე წიხლ მოქნეული)
მაღლა მყვირალი დიაცი—
ჭკუაზე ცოტა სნეული,
(ამ სენს არჩენსო, ამბობენ,
რეცეპტი დამოჟნეული).
თავისუფალი „ბარიშნა“

*) ეშმაკსა ესე განზრახვა
გაუღიმილებს პირსაო
და ამბობს აწცა არცას დროს
ვიტყვი ბლიკვაძის ძვირსაო.

. . . . *) გამოხვეული,
(ძმა ბიჭებიდან ბათუმში
ცრუ მოწმეთ გამოწვეული).
კეკლუცი მანდილოსანი
უქმარო, ხანმოთეული,
თუ საამბოროთ გულ-მკერდი
უჩანდეს ამოხეული
და ამხანაგი გულ ღვარძლი,
ძუნწი, ან გულჩახვეული.
უფროსი ღმერთმა ნუ მოგცეს
უმართლოთ ანახირები,
ნაჩალნიკური სურვილით
გამწყრალი, ანაყვირები.
ნუ გინდა მისი წყალობა
ნურც მისი დანაპირები,
(მარა რას იზამ, შვილოსა,
რო გინდა ჯამაგირები).
საქმეში კაცი არ ვარგა
შიმშილით ანატირები.
თუ გახდი ცოლის ამყოლი
ერთ გროშათ არ ეღირები
(თუმცა მეგულვის აქა იქ
მე ამნაირი პირები)
და თავი შენი ნუ გინდა
გროშისთვის დანამცირები.

**ბლიკვაძე.**

# დეპეშები.

**პეტერბურგი.** თუ რუსის ჯარმა სპარსეთში კონსტიტუცია დაამყარა, რაიცა „ზაკავკაზიეს" ხელმძღვანელთა აზრით ყოველივე ეჭვს გარეშეა, ცნობილი ბესარაბიელი დეპუტატი ვოლოდია პურიშკევიჩი თეირანის პარლამენტში აპირობს გადასვლას.

**მოსკოვი.** რუსული ხელოვნება მკვიდრ ნიადაგზე დადგა. პეტერბურგიდან ახალი საფრენი მანქანით სრულიად უვნებელათ და გაუკვირვებლივ ჩამოფრინდა ქალბატონი ხოლერა. ამბობენ აქ ამ ზაფხულში დარჩება და დაივლის სამხრეთ რუსეთსაო.

**ოდესა.** გურიაში ნამყოფმა და იქაური ზნე-ჩვეულების კარგათ მცოდნე ტოლმაჩევმა, კრუშევანის სახელობაზე საკურთხის გაგზავნა განიზრახა. მაგრამ წამლები ვერავინ იშოვა. ბოლოს ჭეშმარიტი სტუდენტი დგებუაძე გამოჩნდა მსურველი, მაგრამ როგორც გამოირკვა საკურთხი გზაზე შეუჭამია.

**ტელეგრამა ქუთაისიდან.**

სიმეონ ქარიანმა—ჩიჩიკოვმა საქმე წააგო. მკვდარი სულები ხელიდან გაუშვენ. ებრაელებმა სასაფლაო მოიგეს. მოსალოდნელია საქმის განსაჩივრება.

---

*) ნუ იხმარ ასეთ სიტყვასა
ნუხარ ასეთი წყეული.
**ეშმაკი.**



# ორი ეშმაკი.

**პირველი.** (ლოცულობს მოკრძალებითა და გრძნობით)
ჯოჯოხეთისა ძალებო!
თქვენა გთხოვთ, თქვენი კვნესამე
ადრე გაგვიხსენ დუქანი...
(უკეთ-ვსთქვათ, დუმა მესამე!!!)
მართალი არის მას ჩვენი
ბევრი არარა ემართა,
მაგრამ ძვირფასი რამ იყო
ის საოხუნჯო ტემათა...
**მეორე.** (მორიდებით მიუახლოვდება მლოცველს და აგრეთვე მორიდებით შეჰკითხავს:)
რაზედან აფრქვევ ცრემლებსა
ჰე ძმაო, ჯოჯოხეთურო!
რა იყო სახარბიელო
დუქანში შე უბედურო?!!
ხომ გახსოვს, ქვეყნის საქმეზე
არა შეეონდათ მსჯელობა,
მართ ოდენ მხოლოდ „სკანდალი"
იყო იმათი ხელობა!

**ზირგელი.** (ცრემლებს მოიწმენდს და დამშვიდებული კილოთი)

მესმის, ძმობილო, ყველა ეს,
მისთვის მიდის ცრემლი მდუღარე,
მისთვის დავდივარ დღე და ღამ
ფრთა-დაშვებული, მწუხარე...
რა გვეშველება არ ვიცი,
ოთხი თვე დიდი ხანია...
დახლიდარს კიდევ ზოგ-ზოგი
ინგლისში წაუტანია.
**მეორე.** ვერ მივხვდი შენ რა გადარდებს
აქ რაა ცრემლის საშველი?
ბევრი „იშრომეს“ და ცოტას
დაისვენებენ ბავშვები...

## შ ა რ ა დ ა.

—

სამი ნაწილი შეადგენს
ამ სიტყვას საშარადოსა:
**პირველი** ისეთ წყალს ქვია
ბაყაყთ სანავარდოსა,
სადაცა ბუდობს სიმყრალე,
გველ-წურბელანი ცურავენ
გარეთ შამბნარი არტყია
ზევით ლეყენი ხურავენ.
**მეორე,** მუსიკალური
იარაღია ქართული,
ბოლო ძაბრივით გაშლილი
წელშიგან გამოხლართული.
ვლადიმერ მიქელაძისგან
(ორგულთა გასამწარებლად)
საბჭოში მკერდით დაცული
ქუჩაში დასატარებლათ.
მაგრამ ამ სახელს წინიდან
მოსწყვეტავთ ორსა ანბანსა
და სწორეთ მაშინ მიიღებთ
ჩვენთვის საჭირო საგანსა..
**მესამე** ნაწილს სიტყვისას
თათის მაგივრათ ხმარობენ
დათვები სცემენ ერთმანეთს
ბრძოლაში როცა ცხარობენ.
ინტენდანტებიც ჩაჰყოფენ,
ოდეს ხაზინას ყვარობენ
და უკანტროლოთ მუნითგან
ქანქარსა მოიპაროდენ.
სამივე ერთად შეაწყვეთ
ერთი მეორის მოყოლა
და უცებ გამოგორდება
წინაშე თქვენსა ბობოლა,
რომელსაც ხელთა უპყრია
ჩვენი ბედი და იღბალი,
უწინ თუ ერთი ძვირობდა
დღეს ორგვარი გვყავს მრავალი.
ამაზე ბევრს ის ეფიქრებს?
ვინც მეგულება აბდალი.

კოლო.

## ქვეყნიერობა.

(ეშმაკის თვალქჩით)

**სპარსეთი.**

დღეს მთელი კაცობრიობის ყურადღება თეირანისაკენ არის მიქცეული. სპარსეთის თავისუფლებას ჯერ ბევრი საფრთხე უდგას წინ, მაგრამ შახის რეზიდენციის აღება ეს ერთობ დიდ-მნიშვნელოვანი საქმეა. როგორც მკითხველებმა იციან, შახის საბუდარს კარგა ხანია ალყა შემოარტყეს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმებმა და დღე-დღეზე ემუქრებოდენ თავდასხმას. სპარსელებმა იმდენი მოტყუილება განიცადეს ინგლის-რუსეთის დიპლომატებისაგან, რომ ბოლო დროს მათი ყოველივე ნდობა დაჰკარგეს, როგორც აგრეთვე ნდობა თავისი შახისა. ინგლის-რუსეთის წარმომადგენელნი ხშირ მოლაპარაკებას მართავდენ რევოლიუციონერთა წინამძღოლებთან, მაგრამ ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაიარა და მათ იერიშზე ხელი ვერ აღებინა.

29 ივნისს ნაწილი თეირანისა უკვე რევოლიუციონერთა ხელში გადავიდა, ხოლო მეორე-მესამე დღეს აიღეს მთელი ქალაქი. ხალხი აღტაცებით მიეგება მებრძოლთა რაზმებს და ქალაქში ჩინებული წეს-რიგი დამყარდა. ალყა შემოარტყეს აგრეთვე შახის საცხოვრებელ ადგილსაც. თითონ შახის ამბავი ჯერ-ჯერობით არავინ იცის. ამბობენ ის უკვე შეიხიზნა ერთ-ერთ საკონსულოშიო.

ამგვარათ სპარსეთის შახის ბედი გადაწყვეტილია და თავისუფლების საქმეც წინ წავა, თუ რასაკვირველია არა მკითხე „ჭირისუფლებმა“ თავისი „მფარველი“ ხელით კვლავ არ აურიეს სპარსეთის საქმე. ეს კი ძლიერ ადვილი მოსალოდნელი საქმეა და ვნახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

**ჩინეთი.**

ჩინეთი რომ ახირებული ქვეყანაა, ამას დიდი ფიცი და მტკიცი აღარ სჭირია. მოგეხსენებათ, ჩინეთის მთავრობამ, რუსეთის მოძრაობის გავლენით, გამოუცხადა თავის ურიცხვ ქვეშევრდომებს, რომ კონსტიტუცია თუ გნებავთ, ცოტა მოითმინეთ და თექვსმეტი წლის შემდეგ გიბოძებთო.

საზოგადოთ ჩინეთი ისეთი „საწყელი ფურია“, რომელსაც ერთობ მოხერხებულათ და თანაც დაუზოგავათ სწველიდენ როგორც ევროპის დიდი სახელმწიფონი, აგრეთვე ამერიკის შტატებიც. ყველამ საგლიჯა თითო კუნწული, მაგრამ მას ჯერ კიდევ ბევრი დარჩა და თუ ამ დანარჩენმა გამოიღვიძა, ისიც საკმარისია, რომ ევროპას ძილი დაუფრთხოს.

ბოლო წლებში, რასაკვირველია იაპონელთა გავლენით ჩინელებმა კარგა ბლომა ჯარი გაიჩინეს და იარაღიც შეიძინეს. ჩინეთის მთავრობამ განიზრახა, უკანვე გამოეგოდა ინგლისელებისაგან წართმეული ნავთსადგური ვეი-

ხაი-ვეი, მაგრამ ძგირათ დაუფასეს და ახლა სხვა ადგილას ემზადება სამხედრო ნავთსადგურის აგებას.

ამ ჟამად ჩინეთის მთავრობა გაფაციცებით უურის ჯარს თავს მუკდენში. გაზეთების სიტყვით აქ უკვე დაუბანაკებია 22000 მეომარი. აგებენ ახალ ციხე-სიმაგრეებს და აახლებენ ძველებს. რუსეთის საზღვარზე ასეთი გაბედული მზადება კარგს არას მოასწავებსო ამბობენ გაზეთები და ამ საქმეს უკავშირებენ სპარსეთის ამბებს.

ყოველ შემთხვევაში ერთი კი ეჭვს გარეშეა, რომ ჩინეთი ხუმრობის გუნებაზე სულაც არ არის და ახლო მომავალში თავის თავს თითონ გაუხდება ბატონ-პატრონად.

---

## გამოცანები.

1.

გამოცანას მოგახსენებთ
დიდი არაფერიაო:
„საზოგადოება“ ჰქვია
მაგრამ არ ყავს წევრიაო, —
მარტო გამგეობა უზის
და ისიც ბებერიაო.
მათი საქმე არ ნახულა,
და არც სადმე სწერიაო,
ქვეყნათ რისთვის დაბოგინობს
სწორეთ გასაშტერიაო...
გამგეობის თავმჯდომარეს,
თვისი შესაფერიაო,
ცხენის ძუის მინაგვარი
ამოსვლია წვერიაო.
აგი თქვენ ვერ გამოიცნოთ
არ მოგიკვდეთ მტერიაო.

2.

ერთი რამა სულიერი,
და სამოთხის შვილიაო:
დარბევ-აწიოკებაში
ძლიერ გამოცდილიაო;
შინაურს და გარეულზე
ერთზომ დაგეშილიაო,
მათრახების მკლავები აქვს
და ხიშტების კბილიაო
სიცივეში გამოზრდილსა
სორო უყვარს თბილიაო,
პატიოსნურ საქციელზე
მეტის-მეტათ წბილიაო
თუ ეს უცებ ვერ ახსენით
იცოდეთ სირცხვილიაო.

3.

ჩვენში იმწყსვის ერთი ფარა
ჭამა უყვარს, შრომა არა.

კოლო.

## მედროვე

(იხ. „მათრახი და სალამური“ № 2)

III

სცენა ბოქაულისას.

(შემოდის ეფრემს)

**ბოქ.** ეფრემს ვახლავარ. დაბრძანდით. როგორ ხარ ეფრემ, ხომ კარგათ?

**ეფრ.** კარგათ ყოფნა სადაა ჩემო ბატონო. ახლა ვინაა კარქათ, მე რომ ვიქნები.

**ბოქ.** ჩვენი საქმე კარგათ მიდის. შენ რაც მითხარი, ყოველივე მართალი გამოდგა. ბევრი ჩავიგდე ხელში, მარა ზოგი გაიქცა. პეტრე სადღაც მიიმალა, მარა სად დამემალება. მიწაში თუ ჩაძვრება არ ვიცი, თვარა ისე ვერსად ვერ გადამირჩება.

**ეფრ.** ვინცხა თავი იყო, იგი წასულა და მაგენი გინდა დეიჭირე და გინდა ნუ.

**ბოქ.** ფიქრი ნუ გაქვს. მალე გაჩვენებ, რომ შენი პეტრე მალე ფხარ შეკრული მიყავდენ აქეთ (ხელს გაიშვერს აღმოსავლეთისკენ). ჰო, მართლა. შენი გოგიეც აქაა. ისეთი გაუმასპინძლდი, რომ შენი მოწონებული. და ჯერ სადაა. კიდევ მოელოდეს პატივისცემას.

**ეფრ.** მაგენს ეყოფა მაგი ბატონო. მაგენს ხომ მისით აფერის გაკეთება არ შეუძლიათ. რასაც ეტყვიან, იმას იზამენ. დღეს იგინი ეტყვის, იმას გუუგონებს, ხვალ თქვენ ეტყვით, თქვენ გაგიგონებს. ყაზახია ბატონო, მოჯალაბე. მაგენის გარეცხა რიონს არ შეუძლია. რაფერ შეიძლება ახლა ჩემი ბატონი გოგიე გამართულაძის ბიჭმა ქვეყანას გუუძღვეს. ქვეყნის გაძღოლა კი არა, ლუკმა ვერ გადუყლაპავს ყაზახს, ორ სიტყვას ვერ დიელაპარიკება პატიოსან კაცს და აქანე უფროსობას ეპოტინება. მარა რა ქნან. ვინც უფრო შეჯიჯგნის მისკენაა. მაგენიზა ციმბირი კი არაა საჭირო, არამედ ერთი კარგათ გამათრახება და გათავდა. მე მახსოვს, ჩვენსა ყმაი რომ დეიწყებდა ურჩობას, მამაჩემი გააროზგიებდა ერთს ლოთიანათ და ხელათ მოთვინიერდებოდა. მაგენის ციმბირი როზგია. შიში მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო, ამისთანაია მაგენი ყველაი.

**ბოქ.** მართალს ამბობ შენ ეფრემ. მაგენს მართლა ისე მუუხთება. სხვა შენ სიძეს ხომ არაფერი გაუგია მერე?

**ეფრ.** რავა არა ბატონო. ჩემი სიძე დღიან-ღამიანა დარბის. დღეს გაბილამ შეეხვეწა, იქნება ბიჭი შეარიგო ბოქაულსო; შეეხვეწა ენახა ბიჭი და აპირებდა თქვენთან მოსვლას. მან კი მაშინვე თქვენთან გამომგზავნა. გაბილაის ბიჭი და ანტონაის ბიჭი ერთად არიან მახუზლაისას და რამენაი-

რათ საღამომდე თუ არ გაგზავნე კაცები, მერე ვინ იცის სად წავა. (ბოქაული სიხარულით წამოვარდება).

**ბოქ.** მაშ ანტონაის ბიჭიც იქაა. ეს მეტათ სასიამოვნო ამბავი. მე ვაჩვენებ იმას, როგორ უნდა ჩემი მოკვლა. (მივარდება კარებზე და უძახის მათრახაძეს).

(შემოდის მათრახაძე)

**ბოქ.** დამიძახე კულაჩენკოს. (ეფრემას, შენ ერთ წუთას მეორე ოთახში შედი. ისე სჯობია. ეფრემა შედის. შემოდის კულაჩენკო). Ты знаишь Кулаченко, сію минуту возмешь стер. Кртамадзе и поидешь къ Мех. и доставишь сюда всѣхъ, кого не наидешь досна. Понимаишь.

Кул. Слушаюсь.

**ბოქ.** Но смотри, осторожно. Возьми по больше людей. Смотри, чтобы не убѣжали.

Кул. Никакъ нѣтъ в—родіе. (გადის).

**ბოქ.** ეფრემ! (შემოდის ეფრემა) იქ უკვე გავგზავნე კაცები. მანამდი შენ კიდევ თუ გაქვს სათქმელი მოვათაოთ, თორემ იქნებ შემოვიდეს ვინმე და ვინ იცის რომ რამე ეჭვი არ აიღონ შენზე, ასე სჯობია საქმისთვის.

**ეფრ.** კი ბატონო, მართალია. მარა რა მინდოდა მეთხოვა. იი, ბესარონაის შესახებ რომ გელაპარაკებოდი ბატონო, დღეს იყო ჩემთან, დამიწყო ხვეწნა, მითხოვე ბოქაულს, რომ აწი ჩემისანა ერთგული არავინ ეყოლებაო და რაცხა პაწაი ქე წამომატანა (აძლევს ას მანეთს) და თუ შეიძლება კაი კი იქნება, რომ გაანთავისუფლებდეთ. იგი მართლა არც ისე საშიში კაცია. მერე, თუ ახლა არ გააწბილებ, გამოსადეგი კაცი იქნება. სხვა რომ არა იყოს რა, თქვენ ბევრი სახარჯავი გაქვთ, იგი შეძლებული კაცია და ხანდიხან ხელს მოგიწყობთ რომ დაგჭირდეთ. რავა, რა უჭირს ყაზახს, თქვენზე უკეთესს ვის დეეხმარება.

**ბოქ.** ძალიან კარგი რაკი ასეა. მარა ეს კი ცოტაა. (ორ თუმანს აძლევს მას) ეს შენ წაიღე, რამეზე დაგჭირდება და სხვა მერე იქნება. კარგი, დავეთხოვი, მარა უთხარი, რომ ჭკვიანათ იყოს. ერცახე რომ რამე შევნიშნო, იცოდეს რომ პატიებას ნუ მოელის.

**ეფრ.** (მდაბლათ თავს დაუკრავს) ძალიან მადლობელი ვარ ჩემო ბატონო. ეს ყორიფელი კაი მარა იმ გოგიეს საქმე რაფერ წავა?

**ბოქ.** გოგიეს რა, ხვალ სხვებთან ერთად გავგზავნი ნაჩანიკთან და მერე ფ ქრი ნუ გაქვს. აქაურობას მეტს ველარ იხილავს.

**ეფრ.** ეს კაია ბატონო, მარა საქმე იმაშია, სთხოვ კი დაგიხათრებს ბოქაულიო და ახლა რომ დავერია გევიკეთო ხალხთან, კაი კი იქნება თუ გაუშვებ. სოფელი დაინახავს, რომ მე მივეხმარე მას და ეს კარგია ჩემთვის. მაგას მაინც ეყოფა ბატონო. მაგენის წამალი მათრახია და თუ გაუშვებ ახლა, ძალიან კაი კი იქნება სამერმისოთ.

**ბოქ.** რაღამც მასეა, კარგი ძალიან. შენ წაგატან თვითონ. მაშინ უფრო დარწმუნდებიან, რომ შენ მაგისანა კაცებს ეხმარები. ეს მართალია. ჯერ ასე ჯობია და თუ კიდევ გაუწყრა ღმერთი და არ ეყო მათრახები, ან კი სად გაგვექცევა.

**ეფრ.** ხო ბატონო, მეც იმას არ ვჩივი. მაინც ხომ თქვენს ხელში იქნება და ახლა ჩემა სტავლებამ ჯვარი დაგწერა, მარა ასე კი ჯობია მგონია.

**ბოქ.** კარგი, კარგი. (უძახის მათრახაძეს. შემოდის მათრახაძე). წაატანე ამას გოგი გამრთელაძე.

**ეფრ.** (დგება. ემშვიდობება და მადლ' უხდის). ვინ იცის, იქნებ გოგიე ახლა დაშინებულია და სხვაი რამეც გამოვსტყუო ასეთი ერთგულობიზა. მისი გაშობა ჩვენდა ერთი-ორათ უკეთესიც კი შეიქნეს იქნები. მშვიდობით ბრძანდებოდეთ ბატონო. მე ქე გიახლები კიდევ, თუ რამე... (გადის მათრახაძესთან ერთად).

**ბოქ.** ეფრემ! პეტრეს შესახებ აბა თქვენ იცით. (ეფრემა თავს უქნევს და მიდის. ბოქაული კანცელარიაში შედის. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის Кулаченко.)

Кул. Ваше-родіе, всѣхъ арестовалъ. Что прикажете?

**ბოქ.** Даваите ихъ сюда. (შეჰყავთ გაბილას და ანტონას ბიჭო და თვით მეხუზლაი) რომელი ხარ აქ ანტონას ბიჭი?

**ანტონას ბიჭო.** მე გახლავარ ბატონო.

**ბოქ.** შენ იყავი ის რომ მე მიდარაჯებდი მოსაკლავათ? შე უნდა მოგეკალი შე ავაზაკო შენა. (გაარტყამს სილას. ბიჭო ხელს აიღებს სამაგიეროთ, მარა მას ხელს უჭერენ დარაჯები, ბოქაული ბრაზ მორეული განაგრძობს ცემას და თან ყვირის) веревку, перевязать ихъ разбойнников. (მათრახაძეს შემოაქვს ბაწარი და ორივეს ხელებს გაუკრავენ. ბოქაული ისევ ცემს. როცა ისინი დაეცემიან, ბოქაული ყვირის) Кулаченко, возьми этихъ негодяевъ и приготовъ всѣхъ. Мы сеичасъ возмемъ къ начальнику). (გაუყვებ და გადიან. ბოქაული რჩება მარტო. დადის ბოღმა მოსული) აა თქვენ ავაზაკებო თქვენა. თქვენ გინდოდათ ჩემი მოკვლა. ეხლა ხომ ყველა ჩემს ხელში ხართ. ჯერ სადა ხართ. ისე გაწვალებთ, რომ ნეტავ არ ვშობილიყავ დედის მუცლიდგანო. თქვენ გინდათ ჩვენი გამკლავება. აბა ვნახოთ. სულ ყველას დავიჭერ (ყვირის) დავროზ-

რომ ჩემი მეზობელია დაწყევლილი და ვაი რომ დააბრუნონ და გადამეკიდოს სოფელი. გუშინ მისი ცოლი მევიდა და დამიწყო ხვეწნა, რომ შენ თუ გავ, ციმბირში უკრავ თავს, ჯვარს ვაცმევ მაგ წუწკებს და არამზადებს და რომ კიდევ ვინმემ გაბედოს რამე, მთელ სოფელს ცეცხლს მივცემ, ქვას ქვაზე არ დავტოვებ. მე ვასწავლი მაგათ ჭკუას. ეხლა ხომ ჩემს ხელშია ყველა. ჯერ სადაა. მაგათ ეგონა რომ მთავრობა გაქრა და თიგდეს თავი ყაზილარებმა. დამაცადონ. ჯერ მოვიდენ კაზაკები. მაშინ ნახავენ, არის თუ არა მთავრობა. ახლა მოიხმაროს მათმა ახლთაობამ (შემოდის კულაჩენკო).

Кулаченко. Все готово В-родіе.

**ბოქ.** Перевязаны?

Кул. Такъ точно В-ріе.

**ბოქ.** Гони ихъ сеичасъ на вокзаль! Къ начальнику! Я сеичасъ буду! (კლ. გადის) მათრახაძე! (შემოდის). Подаваите пальто. (მოართმევს პალტოს და მიდის დაჭერილების წასაყვანათ მაზრის უფროსთან).

**ბაცილა.**

# დაბა-სოფლები.

**დ. სამტრედია.** ამას წინათ აქაურ ფოსტის ერთ მოხელეს ბრძანება მოუვიდა. რომ „ნაჩალნიკათ“ ხარ გადაყვანილიო. რასაკვირველია მისი ასეთი აღმატება ძლიერ იწყინეს დანარჩენებმა, როგორ თუ ის გახადეს „ნაჩალნიკათ“ და ჩვენ არაო და ერთი აურ ზაური ასტეხეს. დიდი თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს პროტესტის ნიშნათ დემონსტრატიულათ სამსახურს თავი დაანებონ, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი, მაგარი ის არის, რომ ყველანი „ცირკში“ შევიდენ სამსახურში, ახალ სენაკში ჩხენკელი „მოჭიდავეთ“ ბარამიძე და სადკოვი მომღერლებათ და ქოიავა „ტანცმეისტერათ.“

**იქიდანვე**—ადგილობრივმა ვაჭრებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ სადმე გ. გვ-ძე საექიმოთ რომ „ქანქარის ყლაპვას“ გადაეჩვიოს და ამასთანავე ბუხგალტერია შეისწავლოს. უკანასკნელ ხანებში ძლიერ შეიპყრო ამ ავათმყოფობამ გ. გვ—ძე. ფულების შეგროვებას უკვე შეუდგენ ვაჭრები.

**ს. ჭაგანი**—ადგილობრივი მცხოვრებნი ძლიერ შეაწუხა იმ გარმოებამ, რომ როგორც ხმებო გავრცელდა მამა სამსონ შენგელია სტოვებს მათ (სამსონს უფლება ეძლევა ჭაგნიდან სამტრედიამდე სიარულის) ხალხმა თავი მოიყარა და შეეხვეწენ სამსონს ნუ დაგვტოვებთ, შეგვინდეთ თუ რაიმე შეგცოდეთო, მარა ამით მამა სამსონის მორბილება არ იქნა. შემდეგ შეეხვეწენ მის შვილს, მამაშენმა დაგვტოვა და შენ მაინც ნუ დაგვტოვებო, მარა ვერც მასთან გააწყვეს რამე. ის გაიქცა და გამოუცხადა ხალხს. თქვენთან კი არა მაზრის უფროსთან მაძლევენ „დელოპროიზვოდიტელობას“ და იქ არ წავედი, სამტრედიაში „ბაზარნიკობა“ მაძლიეს, არც ის ვისურვე და თქვენთან დარჩენას როგორ ვიკადრებ მამი ჩემის შვილიო. ამ გვარათ მამა შვილმა, ორივემ ზურგი აქცია უმწეოთ დარჩენილ ჭაგნელებს. იქნებ მათრახმა გასჭრას. კაპიტონ კახიანის შესახებ შემდეგ წერილში მოვილაპარაკებ.

პატარა ბზიკი.

—

**ს. მიხაილოვი.** თუ ვინმეს უნდა, რომ მტვერით და სიცხით შეწუხებულმა ცოტათი თავისუფლათ ამოისუნთქოს, და დაისვენოს, ვურჩევთ ს. მიხაილოვს მიაშუროს. თფილისთან შედარებით ეს ნამდვილი „დაჩაა“ მშვენიერი გრილი ჰავა, სხვა და სხვა გასართობები და სხვა. იქნება ვინმემ იფიქროს ვითომ აქ სასტუმროები არ იყოს და ძნელი იყოს ღამის გათევა. ტყუილია. აქ სამი სასტუმროა ერთი გაუხსნია ვიღაც ანთიმოზ ნებიერიძეს, სასტუმრო „კავკაზი“. გასცდებით თუ არა სადგურს იქვე სასტუმროს კარებია. კიბე ცოტათი დახლართულია, მარა თუ კისერი არ მოიტეხეთ და ისე ადით მერე, ყველაფერი დაგავიწყდებათ. მართალია პირველათ გაგიკვირდებათ, როცა ქუჩაში სასტუმროს წინ სტრაჟნიკები, გოროდოვოები და სხვა უსაქმო ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ დგას და ლაზღანდარობენ მარა მათი შეგროვების მიზანს სასტუმროში შესვლისთანავე გაიგებთ. შეხვალთ თუ კარებში, თქვენ გამოგეგებებიან ფერ-უმარულით შეთუთხვნილი ქალები ხან იქით გაგწევენ და ხან აქეთ. თქვენ გაშტერდებით, მარა ჩქარა გაიგებთ თუ სადაც ჩავარდით. გარბიხარ გარეთ და ცნობის მოყვარე თვალები გაცილებენ. ნებიერიძეს დაუნახავს, რომ მგზავრებზე მეტ სარგებლობას მუდმივი მდგმურები მისცემენ და თავისი სასტუმრო ქუჩის გოგოების სადგომათ გაუხდია. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა პატიოსან კაცს იქ არ შეესვლება. ახლო მახლო მცხოვრებთ მოსვენება არ აქვთ, ხშირათ ისმის ქალების წივილ-კივილი და ჩხუბი. არავინ ამას ყურადღებას არ აქცევს, ამიტომ ნებიერიძეს ძალიან მოუხდება კარგი გამათრახება. მეორე სასტუმრო „როსსია“ ვიღაც ქორჩილავას ეკუთვნის. ქორჩილავა ამ მხრით არაფრით ჩამოუვარდება თურმე ნებიერიძეს და დიდ კონკურენციას უწევს. არც მას აწყენს მათრახი. დარჩა ერთათ ერთი ახლათ გახსნილი სასტუმრო „გრანდ ოტელი“ სადაც შეიძლება მართლა ადამიანი შევიდეს და მოისვენოს. სასტუმრო ახლად გახსნილია. ყველაფერი

სუფთათ და ლამაზათ მორთულია და ფასებიც არ არის ძვირი. სასტუმროს პატრონებს შარაშიძეს და მუჯირიშვილს, როგორც ეტყობათ განზრახვა აქვთ რიგიანათ მოაწყონ საქმე. რასაკვირველია ეს მეტათ სასიამოვნოა. ერთათ ერთი სასტუმრო მაინც ექნება მიხაილოვს სადაც მგზავრს შეეძლება ღამის გათევა.

მგზავრი.

—

**ს. მცხეთა.** ბიუროკრატი—უფროსი და ისიც უწრთნელი ღმერთმა ჩვენ მტერს ანახოს. რაც უნდა გულმაგარი კაცი იყო, რომ უზრდელ და ბიუროკრატის სახის მოხაზულობა იხილო და არ შეშინდე.

პირველ ივლისს მცხეთის სადგურზე გავჩერდი (არ ვიცოდი, თუ ასეთ საშიშარ ამბავს წავაწყდებოდი, თორემ რა ეშმაკი გამაჩერებდა) ვიხილე შემდეგი სცენა: უცბათ გამოვიდა სადგურის უფროსი კლეპაჩევსკი და რიხიანათ ბრძანება მისცა სტოროჟს ეხლავე ერთ თანაშემწეს დამიძახეო. არ გასულა ათი წუთი, რომ თანაშემწე გამოცხადდა. ამ ათი წუთის განმავლობაში მრისხანე უფროსი თან და თან მოიღრუბლა და დაინახა თუ არა თანაშემწე გაალო პირი, გაალო და აღმოხდა ხმა, ხმა იგი რიხიანი მგზავრებმა დაუტოვეს ვაგონი ბაქანზე გამოვიდენ, ეგონათ ან ყარამან ყათილი გაჩნდა და ან ლიახოვი დაბრუნებულა სპარსეთიდანო. მაგრამ მათ დაინახეს უფროსი კლეპაჩევსკი, რომელიც თავის თანაშემწეს უყვიროდა „გაეთრიე აქედან“-ო და სხვა. მგზავრები გაშტერებული იდგენ. მათ განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როცა კლეპაჩევსკიმ სალდათებს დაუძახა და გაკვირვებული თანაშემწე წააყვანინა. ვიხილე რა სცენა ესა და შევხედე კლეპაჩევსკის სახის მოხაზულობას ვიფიქრე, სამწუხაროა სამხედრო უწყება, რომ არ გიცნობს თორემ სპარსეთში ლიახოვის ადგილი არ აგცილდებოდა მეთქი. რა სანახავი ყოფილა ბიუროკრატი უფროსი. სად იყო ერთი მათრახი!

მგზავრი—ეშმაკი.

—

**სვირი.** „თაგვს საბან-ბუმბულში აწვენდენ—ის კი სოროსკენ მიიწევდაო“ სწორეთ სვირელებზე არის ზეგამოჭრილი: ანანოვმა სთხოვა სვირელებს ნება მიეცათ მათ მამულში თავის ხარჯით წყალი გაეყვანა და გვალვის დროს მამულები ერწყოთ.

მაგრამ „ინტელიგენტი,“ სვირის სკოლის ზედამხედველი გიორგიმ მიუხვთა „სომეხს“ ცუდ განზრახვას და ლუარსაბას და ალფეზას თანაშემწეობით უარი ათქმევინა, სოფელს, რითაც დაიხსნა „სომხის“ კლანჭებიდან კერძოთ სვირი და საერთოთ საქართველო. ასეთი სიმარჯვე მხოლოთ სვირელ ინტელიგენტს შეუძლია.

ამბობენ ამ „სამებას“ განზრახვა აქვს სოფელი დაიყოლიონ და თხოვონ, ოთხი სტრაჟნიკის მაგიერ რვა დანიშნონ. რა კარგი ხარ მათრახო!

ორ სოფლელი.

—

**დ. ხონი.** ამხანაგო ეშმაკთა ეშმაკო! შენი ძლევა მოსილი მათრახის კვლავ სამოქმედოთ გამოსვლამ ჩემი გული აუწერელ სიამოვნებით აღავსო. შენი „ოტდიხის“ დროს სამათრახონი და გამათრახებულნი თავისუფლათ დათარეშობდნენ, მარა, სამაგიეროთ, ეხლა მივყოთ ხელი დაუღალავ მუშაობას. მოსვენება, ამხანაგო, საფლავშია მხოლოდ. ჩვენს ხონს, ამ მეორე შვეიცარიას, მოევლინა მფარველ ანგელოზათ აქ ყოველ კუნჭულში ცნობილი ლეიბ-ექიმი და მარჩიელი ბუდუანა დანელია, ს. ბანძას მცხოვრები. სად შეედრება მას ან მოძველებული გიორგი ქუთათელაძე და პავლია ჭანტურაია! ხალხი ბუზივით ეხვევა. მარჩიელობაში სამიოდ აბაზს იღებს, ბოთლ წამალში სამ მანეთს, ასე რომ, მგონი, ჩვენი ოთხივე ექიმის ჯიბეები ამ მოკლე ხანში სულ დაიფუკოს. პოლიციას მისთვის არ სცხელა, ექიმები ვერას იტყვიან და არც გაემტყუნებათ, რადგანაც მაშინვე ხალხი მათ „ქანქარის“ სიყვარულს დააბრალებს.

ყვინჩილაძე.

—

**ბაქო.** ძრიელ საჭიროა მათრახი ბაქოს საქონლის სადგურის ზოგიერთ მუშების შესახურებლათ. ისე ჩაითრია ყველანი ბანქოს და ნარდის თამაშობამ, რომ ქვეყანაზე მეტი ალარაფერი ახსოვთ. შიმშილით, რომ ვინმეს მათ წინ სული ამოხდეს ყურსაც არ გაანძრევენ. ყველაზე მეტათ ამ მხრით თავი ისახელა ვინმე ალექსანდრე ბუაძემ. ერთმა მისმა ნათესავმა, პოლიტიკურმა ტუსაღმა დახმარება სთხოვა. პასუხათ კი უშვერი ლანძღვა გინება მიიღო, ბანქოს და ნარდის თამაშობაში კი ალექსანდრეს ტოლი არა ყავს. თუ მათრახმა გასჭრა მაგათზე, თორემ სალამური ვერაფერს უზამს.

—

**სად. კარაკლისი.** კარაკლისის ბუფეტის „ნახაზეინარ“ ნიკო ბოლქვაძეს ამ ხანებში საჯაყი საქმე დაემართა. ერთ მშვენიერ დღეს თავის „დულცინეიასთან“ ყოფნის დროს ძალაზე შეზარხოშდა და ისე დაბრუნდა შინ. ბახუსმა თავისი ქნა. ნიკოს ღრმათ ჩაეძინა. როცა გონს მოვიდა განაცხადა: მოსამსახურეებმა მომწამლეს და ჯიბიდან 300 მანათი ამომაცალესო. თურმე ნუ იტყვით სხვაგან დაკარ-

გა და მოსამსახურეებს კი დააბრალა. ჯერ იყო და როცა ერევნის ბუფეტი ქონდა იქაც ცუდათ ეპყრობოდა მოსამსახურეებს და ახლა აქ ესეც დაუმატა. გამოსაფხიზლებლათ თუ რამდენიმეჯერ მათრახს გადაკრავთ კარგი იქნება.

გ. გაგურელი.

—

**სად. სანაინი**—სანაინის „ნახევარ“ ხაზეინმა წ. მდივანმა მეტათ ენერგიულათ მიყო ხელი არა კულტურულ საშვალებას, როგორც მაგალითად მოსამსახურეების ცემას. მისთვის მეტის მეტათ საჭირო ზურგის შეხურება.

მ. ოფონიესშვილი.

—

**ს. საჯევახო**—ქორეის უბანი დღეს განთქმულია კარტის თამაშობით. თუ კი ერთი ორი ახალგაზდა მოიპოება აქ თავგამოდებით ეწევიან ამ სასიქადულო მოღვაწეობას, იკრიბებიან ეგნატე კოპალეიშვილის სახლში. თვით ეგნატე მეტის მეტათ „გაჭეშმარიტდა“ ამ ბოლო ხანებში და სულ „ბიქბუქები“ აკერია პირზე. სამათრახო რომ არის ამაში ეჭვი არა. მაზე ნაკლებ მათრახი არც აბაშის მამასახლისს მიხაკოს მოუხდება. ძალიან დაეჩვია იმასქნას და ვშიშობთ მეტი არ მოუვიდეს.

გამქცევი.

—

## საკვირველი სიზმარი.

(ვუძღვნი სოხუმის ქალაქის სათაო კანდიდატებს.)

**სოხუმი.** ერთსა მშვენიერ მთვარიან ღამეს
ბანქოს თამაშით ერთობ დამტკბარი
ზაქრო მიილტვის დასაძინებლათ
და მის სიხარულს არ აქვს საზღვარი!
მას არ ახარებს არცა მოგება
წაგებაც სულაც არ ენაღვლება:
მხოლოდ რაღაცა უცხო სიამე
იმისა სახეს ალებექდება.
დილისა იყო ხუთი საათი,
როცა გააღო სახლისა კარი.
მსწრაფლ სარეცელზე გაკოტრიალდა
და ძილში ნახა უცხო სიზმარი:
—ნახა რომ კრება გამართულიყო;
ქალაქის თავათ ამოერჩიათ,
და კათედრაზე შემდგარისათვის
სიტყვა პირველი უთავაზნიათ!—
ვინაც მიიღებს თანამდებობას,
საყოველთაოთ ერთი წესია:
ყველას გააცნობს თავის პირობას,
თუ კი სიკეთე დაუთესია!
ასე მოიქცა ჩვენი ზაქაროც;
იქა დამსწრეთა ყველას გააცნო
მისგან შეთხზული კარგი პირობა,
რაც წინდაწინვე მთავრობას აცნო.
— პირობას აძლევს დუმისა წევრებს:
კარგათ წაიყვანს ქალაქის საქმეს.
ყურს არ მიაქცევს ამბავთა ძველთა
მათი გარჩევით თავს არ გაიტეხს!!
ისე მოუვლის სოხუმის ქალაქს,
როგორც საკუთარ თავისა ოჯახს:
(ერთი დაიწყებს ალთას სიარულს,
სხვა კი მოჰყვება კლუბში სიარულს!)
ბედნიერებას არ აქვს საზღვარი,
როცა მან ნახა ესე სიზმარი.
უკუნისამდე ხომ მათი გვარი,
მაშინ იქნება დაუვიწყარი?!
ხედავს ტყუილათ არ ჩაუვლია
ზაქარო მწვავე „აგიტაციას“!
ოღონდ კი იქნეს ქალაქის თავი,
თავს შემოივლებს მთელსა „ნაციას“.!
ქალაქის თავათ ხომ არის ახლა...
მას ეს უნდოდა, აწი რა უშავს!?
სიტყვით თუ ვინმემ ის შეურაცხყო,
გაბრაზებული შამფურსაც ფუშავს!
ბედნიერებას აწ შეჩვეულსა,
უცებ ვიღამაც მას მიაძახ,—
და მით მოუკლა ბეჩავი გული,
დაალებინა უზომოთ ხახა!..
„ხმოსანო ჩვენო ჰე ზაქარიავ!
ქალაქისთავათ შენთვის აქ ყოფნა—
ყველამ იცოდეს—ნაადრევია
მგონი, არ შეგწევს მაგდენი ცოდნა?!“
რა მოისმინა ზაქრომ ეს სიტყვა,
გაბრაზებული სკამით წამოხტა,
ხმოსნისა ჯავრის ამოსაყრელად
და ლოგინიდან ძირს კი გადმოხტა...

სამ გვარიანი.

—

## მათრახი ბათუმისათვის

### № 3.

(მოხსენება კვინწარისა)

დავესწარი ბათუმის ქალაქის საბჭოს სხდომას, რომელზედაც მოსმენილ იქნა „დიდზე უდიდესი საკითხი“, წამოყენებული წინაშე ბათუმისა ბაყაყეთის რევიზორის მიერ. „დიდი საკითხი“ ამ საქმეს თვით ქალაქის თავმა უწოდა და მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს დავეთანხმო ამაში პატივცემულ თავს პატივცემულ პორტის ქალაქის ბათუმისას; თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ ქალაქის თავმა ამ საკითხს „დიდი“ სულ სხვა აზრით უწოდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო ჩემთვის ეს საკითხი „დიდი“ შეიქნა სულ სხვა მოსაზრებით: ამ „დიდმა საკითხმა“ ერთი დიდი ჭეშმა-

რიტება გამოახტუნა, რომელიც კარგა ხანია გამოხტუნებულია, მარა რომლის ხშირ-ხშირად სინათლეზე გამოხტუნება დიახ რომ სასარგებლოა. მე მოგახსენებთ იმ უცილობელ ჭეშმარიტებაზე, რომ არსებული საქალაქო საარჩევნო კანონი ქალაქის საქმეების ბატონ-პატრონად ხდის ისეთ გვამთ, რომელნი გვამნიც თავის ჯიბის ინტერესებს ვერ გაშორებიან და რა მამათ-ჩვენოც უნდა უკითხო, ვერამც და ვერამც ვერ გაშორდებიან. ჰო და აი საცოდაობა ასეთ გვამთა უნდა გენახათ ბათუმის საბჭოს სხდომაზე 1 ივლისს, უნდა გენახათ თავისი თვალით, რომ დარწმუნებულიყავით, თუ რას წარმოადგენენ ჩვენი ხმოსნები. მე ვნახე და უნდა გამოვტყდე—ჭეშმარიტად შემეცოდა საცოდავები. შემეცოდა, მარა ამასთან ისიც უნდა ვსთქვა, რომ ვიცინე კი ბევრი.

საბჭოს წინა სხდომაზე ზოგიერთი ხმოსნები მოითხოვდენ, რომ ბაყაყეთის რევიზია ადრე მოხსენებოდა მათ. შეუსრულეს ეს წადილი და ქალაქის თავმა მოახსენა კიდევაც. და აი აქ წამოიჭიმა თავისი სიგრძე-სიგანით საცოდაობა ჩვენი ხმოსნებისა. გეხსომებათ ჩემი პატარა ეშმაკუნების მოხსენებებისგან, რომ ერთ-ერთ რევიზორს ბაყაყეთისას ას მანეთში თითის კვრას ეწამებიან. ჰო და, ექვი არაა—იმ ხმოსნებს, რომლებსაც საქმის მდგომარეობის ადრე მოხსენება უნდოდათ საბჭოსათვის, სახეში ქონდათ იმ 100 ქანქარის შესახებ საკითხის აღძვრა. დიახ, უნდოდათ მარა ენა დაებათ საცოდავებს და 100 ქანქარზე კრინტიც ვერ დაძრეს. მოითხოვდენ მხოლოთ მშრალი სიტყვებით ბაყაყეთისათვის საბჭოს რევიზიას და კი ვერ ასაბუთებდენ ამ აზრს. სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდენ და ვიცინე კიდეც ბევრი; დაჯავრიანებული კაცი ვარ და ააშენა ღმერთმა მათი ოჯახი—გულიანად მაცინეს. ვერც ერთმა ხმოსანმა ვერ გაბედა ეთქვა, რომ ბაყაყეთის უწესოებაში უპირველეს ყოვლისა პასუხის მგებელია თვითმართველობის გამგეობა, პასუხისმგებელია, რადგან ისაა ბატონ-პატრონი ბაყაყეთისა, რომ მთელი წლის განმავლობაში, და შეიძლება ბევრ წლების განმავლობაშიაც, ბაყაყეთში ყოფილა ,,ყლინწვა‘‘ დიდი და გამგეობა კი ამას ყურად იღებს მხოლოდ მაშინ, როცა შტატის მაძიებელი ხომერიკი დაეტაკა ბერეჟიანს და იწყო გამჟღავნება ,,ყლინწვის‘‘ ისტორიისა. ხომერიკს რომ ეს არ ენებებია, გამგეობა დღესაც კვლავინდებურად არხეინად იქნებოდა, ხომერიკიც არხეინად იქნებოდა, ბერეჟიანიც არხეინად იქნებოდა, ტრანსპორტში გამოტოვებული 300 მანეთიც არხეინად იქნებოდა. და მერე ეს არის საქმიანობა, ჩაბარებული საქმის მოვლა-პატრონობა?!. უბრალო მედუქნეს აქვს შემოსავალ-გასავლის, ,,კასის‘‘ წიგნი და წარმოიდგინეთ, მთელი წლების განმავლობაში ისეთ დიდ დაწესებულებას, როგორიც საავათმყოფოა, არ ქონია ისეთი ,,კასის‘‘ წიგნი, რომლიდანაც შეგეძლოთ ნათელი წარმოდგენა იქონიოთ ყოველ-დღიურ შემოსავალ-გასავალზე. და აი ამ გარემოებას მიუცია საშვალება ბ-ნ ხომერიკისთვის, წიგნის ტრანსპორტში 300 მანეთი გაეცურებინა. ამბობენ, რომ ქალაქის გამგეობას ქალაქის ყველა დარგებში ენციკლოპედისტათ ბ-ნი პარმენი ყავსო. ქალაქის საავათმყოფოსათვის საბუხგალტერო წიგნების შედგენა იმავე პარმენს მიანდვესო. და პარმენიც, შეჩვეული მომრიგებელ სასამართლოში ნომრების წერას, ამდგარა და დაუნომრავს საავათმყოფოს წიგნები: ერთისთვის დაურქმევია № 2, მეორესათვის № 3 და ასე შეუდგენია საბუხგალტერო წიგნები! მარა საქმე ისაა, რომ პარმენი არ ყოფილა ბუხგალტერი და მის მიერ შედგენილი წიგნებიც არა ბუხგალტერული აღმოჩნდა. ესაა მიზეზი, რომ საავათმყოფოს რიგიანად შედგენილი კასის წიგნიც კი არ ქონია. და მერე უპირველეს ყოვლისა ვინ არის აქ დამნაშავე? რა თქმა უნდა —ქალაქის გამგეობა.

ვინ არის რომ ადგილებს პროტექციებით არიგებს? ვინ არის, რომ თუ პროტექცია არა გაქვს რომელიმე გავლენიანი ხმოსნისა, ან მანდილოსნისა, საქმის დიდი მცოდნეც რომ იყოთ და პატიოსნებითაც შეიარაღებული—სათოფეზედ არ გაგიკარებენ? ვინა და ჩვენი ქალაქის გამგეობა. დიახ, ეს ასეა, და ვეკითხები ბათუმის ხმოსნებს: ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა ამ გარემოებას ბაყაყეთში მომხდარ ,,ყლინწვაში‘‘? დიახ, ჰქონდა. და მერე აქ არ სჩანს დანაშაულობა გამგეობისა?.. როგორ არა! მარა ბაყაყეთის ასვრილ საქმეში გამგეობის დანაშაულობაზე ხმოსნებმა კრინტიც ვერ დაძრეს. ზოგიერთ მათგანს, როგორც ვთქვი, ძლიერ უნდოდა 100 მანეთის ისტორიაზე ეთქვა რამ, მარა ვერ გაბედეს, ვერ გაბედეს, რადგან ვინ მიაშავა მათ მოქალაქეობრივ გაბედულობა! დგებოდენ და რაღაცას საცოდავათ ლუღლუღებდენ. ვუცქერდი ამ საცოდავ ხალხს, ვუცქერდი და მეცოდებოდა საცოდავები, მეცოდებოდა და თან გულიანად მეცინებოდა მათი „გამბედაობის‘‘ შემყურეს.

უცქირა ამ ,,გამბედავ‘‘ ხალხს გამგეობის წევრმა ჟურულმა, უცქირა და რა დარწმუნდა მათ სიგლახაკეში, მოითხოვა სიტყვა და მოგვცეთ სიცოცხლე იგინი გაჯორა... ყოველივე იმისი სიტყვა, ღირსებითა და აღშფოთებით თქმული, უმწვავესი მათრახის კუდი იყო ,,გაბედულ‘‘ ხმოსნების ბეჭებზე გადაწნული. ვუსმენდი იმის სიტყვებს და გულში ვამბობდი: გიცხონდა მამა, უარესის ღირსნიც არიან, სიტყვების მათრახს კი არა, ნეტავ ნამდვილ მათრახს მოსცხებდე მაგათ ბეჭებზე მეთქი. იჯერა გული ბათუმის პრესაზედაც, რომელიც წინეთ განძრახ აფარებდა ხელს ბათუმის თვითმართველობის შენაცოდებს და დღეს კი დიდათ გამწყრალია იმავე თვითმართველობაზე, განსაკუთრებით მის წევრზე—გ. ჟურულზე, გათართხა ეს გაზეთი, ამოსვარა. სჩანს, დიდათ დაუჭრია ბ-ნი ჟურულის გული ალი ბეის ფელეტონებს. უნდა ვთქვა, რომ როცა ჟურული ისე მკაცრად ლანძღავდა ბათუმის გაზეთს, თუ მას მხედველობაში

ქონდა გაზეთის ის ფელეტონები, სადაც მხოლოდ მას ეხებოდენ საავათმყოფოს საქმეებთან დამოუკიდებლათ, იმ შემთხვევაში მას არავითარი ნება არ ქონდა საბჭოს სხდომაზე გაზეთთან თავისი ანგარიშები გაესწორებია. თუ მას სახეში ქონდა გამყრელიძის შესახებ დასტამბული წერილები და მისი სიტყვით ის გამყრელიძეს იცავდა გაზეთის ბრალდებისაგან, მაშინ მეტი რომ არა ვთქვათ—ესეც დიდი ულამაზობაა მისგან. გამყრელიძეს ბრალს დებს ხომერიკი მეტად ვაგლახ საქმეში. განა თვით გამყრელიძეს საშუალება არა აქვს თავი იმართლოს? თუ პრესის საშუალებით არ სურს მას ეს, განა სამედიატორო სასამართლო ვერ აღადგენს სიმართლეს? აღვნიშნავ კიდევ ერთს მცირე რამეს: მე ზოგიერთ ხმოსნებს ბრალს ვდებ, რომ მათ ვერ გამოიჩინეს მოქალაქეობრივი გამბედაობა და ვერ თქვეს ის, რის თქმაც უნდოდათ. ერთს ხმოსანს კი ამაზე უარესი საქმეც მოუვიდა: მან საბჭოს სხდომაზე მოსვლაც კი ვერ გაბედა; ეს კი უნდა შეიცავდეს სრულს სიგლახაკეს ადამიანისას. ვთხოვ ეშმაკს, ჩასწეროს ეს სახელი შენიშნულთა სიაში და კიდევ თუ განმეორდა მისგან მსგავსი საქციელი, მაშინ მე მკითხოს მისი პატივის ცემა.

**კვინწარი.**



ბაყაყეთის „საბჭო“.

ჭაობისა პირად მსხდომი
და სიმყრალის მინაჩვევი...
კრება ვნახე ბაყაყების
საგანგებოთ მონაწვევი.
რევიზორის მისართმევი
შეედგინათ ანგარიში...
გული ედგათ საგულეში
და არ ჰქონდათ გულში შიში.

ქალაქისა „უპრავაში“
ყველას ყავდა თითო ხელი,
„ნაყლინწავის“ მონაბერი
აეცდინა განსაცდელი.
ამიტომაც რიხიანათ
კამათობდა საბჭო მათი
და უპრავის დელიყანდებს
მოსწონდათ ეს მასლაათი.

კოლო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო გთხოვთ უმორჩილესათ დამიბეჭდოთ, რომ «ეშმაკის მათრახი».ს № 42 მოთავსებული წერილი ი. ლოლაძის შესახებ და ალმანახ „ეშმაკის სალამურში“ სიმღერა, მიბაძვა «ზესტაფონის სადგურზე» მე არ მეკუთვნის და მით თავიდან ამაცილოთ ის უსიამოვნება, რომელსაც ამის გამო მე მაყენებენ*)

ი. კოპლატაძე.

*) რედაქციამ შეამოწმა და აღმოჩნდა რომ ზემო აღნიშნული წერილების ავტორი ი. კოპლატაძე არ არის.

რედ.

## მათრახის ფოსტა.

**ბორჯომში.** ჩანჩქერს. შეიძლება ბატონო ჩემო-ბორჯომი მშვენიერი ადგილიც იყოს, მაგრამ „მზე“ და „ბზე“ სულ სხვა და სხვა მნიშვნელობის სიტყვებია. ეს იქონიეთ სახეში.

**ბაკურიანი.** მაწონს. დიდი სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენს ლექსს, რომ უკვე „დედა-ენაში“ დანაბეჭდი არ იყოს. იაკობ გოგებაშვილს თქვენზე უწინ სცოდნია, რომ „მაწონი მჟავეა და შაქარი ტკბილი“.

**აბაშა.** სიკოს. „სიცხე გვიდგას მზისაგანა
მხოლოდ იმისისაგანა“.

წარმოიდგინეთ თქვენ, რომ სიცხეს მარტო მზე არ აძლევს ადამიანს და რომ დამოუკიდებლათ დიდებული მნათობისა, ზოგიერთ მწერალს დიდი სიცხე აქვს ხოლმე თავში.

თბილისი